

15/10/2021

ბრძანება CIG 367/21

პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის დამტკიცების თაობაზე

01.11.2018წ. #CIG 091/18 ბრძანებაში

ცვლილების შეტანის შესახებ

- შეტანილი იქნას ცვლილება 01.11.2018წ. #CIG 091/18 ბრძანებით დამტკიცებული „პრეტენზიების მიღებისა და განხილვის პროცედურის“ 6.2. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. თუ პრეტენზიით მოთხოვნილია მონაცემების განახლება, საკრედიტო ისტორიაში ცვლილებების განხორციელება, არსებული მონაცემების სიზუსტის დადასტურება, საკრედიტო ისტორიაში მიების განხორციელების კანონიერების შემოწმება ან/და სხვა ისეთი მოქმედება რაც საჭიროებს ბიუროს კონტრაქტორი მონაცემთა მიმღები/მომწოდებელი ორგანიზაციისგან ინფორმაციის მიღებას, ბიურო მიმართავს შესაბამის მონაცემთა მიმღებს/მომწოდებელს, რომელიც ვალდებულია ბიუროს მიმართვისთანავე, ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ოპერატიულად, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, მიაწოდოს ბიუროს მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. თუ საჭიროა მონაცემთა ბაზაში არსებული ჩანაწერის სიზუსტის/სისწორის/კანონიერების დადასტურება, ბიურო უფლებამოსილია ბიუროს კონტრაქტორი მონაცემთა მიმღები/მომწოდებლისგან მოითხოვოს შესაბამისი ვალდებულების დამადასტურებელი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, მომხმარებლის თანხმობის/ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტი, გადასახდელი თანხის ოდენობის დამადასტურებელი ამონაწერი ანგარიშიდან/ქვითრები ან/და ნებისმიერი ისეთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს არსებული ჩანაწერის სისწორეს და ვალდებულების არსებობას. ბიურო მიიღებს გადაწყვეტილებას ჩანაწერის სისწორის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე. თუ ბიუროს კონტრაქტორი მონაცემთა მიმღების/მიმწოდებლისგან დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი საკმარისი დოკუმენტაცია, ბიურო წაშლის მონაცემებს ვალდებულების შესახებ რომლის სიზუსტის/სისწორის/კანონიერების დადასტურებაც შეუძლებელი იქნება.

- ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე გომიაშვილი  
გენერალური დირექტორი

ა. გომია